საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ახალგაზრდა ივერიელი“

„ახალგაზრდა ივერიელი“, თავისუფალი ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ამ სახელწოდებით გამოდიოდა 1990–2008 წლებში, ქართ. ენაზე, კვირაში 2-ჯერ.

„ა. ი-მა“ გააგრძელა თავისი წინამორბედის – გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ სხვადასხვა თაობის ჟურნალისტთა საუკეთესო ტრადიციები, ამავე დროს უარყო ცრუკომუნისტური მიზანდასახულობანი, ახალგაზრდობაზე იდეოლოგიური ზემოქმედების კომკავშირული პრინციპები; 1988 – 89-იდან აქტიურად ჩაება ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში, ასახავს ახალგაზრდობის მისწრაფებას საქართველოს *პოლიტ.* და ეკონ. დამოუკიდებლობისაკენ, საქართველოსა და უცხოეთში მიმდინარე აქტუალურ *პოლიტ.* მოვლენებს, ეკონ. და სოც. რეფორმების განხორციელების, სახელმწიფოებრივი მოწყობის პროცესს.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელწოდებით 1921 წ. 13 აგვ. გამოვიდა გაზეთის ერთადერთი ნომერი („გაზეთი ახალგაზრდა მუშებისათვის და გლეხებისათვის, ორგანო საქართველოს ახალგაზრდული კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა“). საქართვ. კომკავშირის ცკ-ის ორგანოს გამოცემა განახლდა 1922 ახ. სახელწოდებით „სპარტაკი“ (ორკვირეული, 1922; № 12-იდან კი – ყოველკვირეული გამოცემა), ხოლო 1925 წ. 8 დეკ-იდან გამოდიოდა კვლავ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელწოდებით, როგორც საქართველოს კომკავშირის ცკ-ისა და ტფილისის კომიტეტის ორგანო. თავდაპირველად გამოდიოდა ყოველდღიურად, 1927 – 28 – კვირაში 2-ჯერ; 1929 – კვირაში 3-ჯერ; 1930-იდან – ყოველდღიურად. 1935 გაზეთის ტირაჟი იყო 3 ათ., 1938 – 41 წწ. – 49 – 60 ათ. 1941 წ. 23 აგვ. გაზეთის გამოსვლა შეწყდა. გამოცემა განახლდა 1945 წ. 1 თებ. (ტირაჟი – 30 ათ.).

სხვადასხვა დროს გაზეთის რედაქტორები იყვნენ:კ. გორდელაძე (1922), ვ. კუპრაძე (1923-1924), გ. ძიგრაშვილი (1924-1925), შ. ანდღულაძე (1926-1928), გ. ჯავახიძე (1928-1929), აკ. მახათაძე (1929-1930), დ. ვოლსკი (1930-1931), ალ. მგელაძე (1931), ვ. მიქაძე (1931-1932), კ. ჩარკვიანი (1932-1933), ე. ენუქიძე (1933-1934), ვ. დევიძე (1934-1935), ს. აბულაძე (1936), მ. ცქვიტიძე (1936-1937), შ. მთვრალაშვილი (1937), ალ. მირცხულავა (1938-1939), დ. მჭედლიშვილი (1939-1941), გ. ფირცხალავა (1941-1948), შ. გაგოშიძე (1948-1953), გ. ვარდოსანიძე (1953), მ. კაკაბაძე (1953-1955), გ. გელაშვილი (1955-1971), ა. სანებლიძე (1971-1974), ჯ. ნინუა (1974- 1982), რ. ბალანჩივაძე (1982-1984), პ. ნაცვლიშვილი (1985-1988), მ. ბალარჯიშვილი (1988-1991), ზ. ხოზბერიძე (1991), მ. ბალარჯიშვილი (1992-1997), გ. გობეჩია (1997-2007). 2008 გამოცემა შენყდა.

მ. ბალარჯიშვილი.